გორის მუნიციპალიტეტის მერის

KA990163084039019

ბრძანება № 3775-ს

05 / ივნისი / 2019 წ.

"არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" სახელწოდების ცვლილებისა და წესდების დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 31 იანვრის N479-ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, 106^1 -ე მუხლის მე-6 პუნქტისა და საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადო ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის საფუძველზე ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება "არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" სახელწოდების ცვლილებისა და წესდების დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 31 იანვრის N479-ს ბრძანებაში და ბრძანების მეორე პუნქტით დამტკიცებული დანართი N1 შეიცვალოს ახალი დანართი N1_ით.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3.ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. N30).

გორის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

კონსტანტინე თავზარაშვილი

ასლი დედანთან სწორია
"06" 06 2019 წ.

დანართი N1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ (შემდგომში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი) მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს აქვს ბეჭედი, შტამპი, ანგარიშწორებისა და სხვა სახის ანგარიშები სათანადო დაწესებულებებში.

5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,, გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი".

7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ელექტრონული ფოსტის მისამართია: health@gori.gov.ge

8. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. გორი, სტალინის ქ. #2.

მუხლი 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნები და ამოცანები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნებია:

ა) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიდზედამხვდველობის განხორციელება და სამედიცინო სტატისტიკური სისტემის მუშაობის უზრუნველყოფა;

ბ) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიდზედამხედველობის განხორციელება და სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებზე;

გ) სამედიცინო დაწესებულებებიდან სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და წარდგენა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის (დკსჯდ);

დ) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; საგანგებო სიტუაციების დროს მყისიერი რეაგირება და კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან;

ე) სიკვდილის არაიდენტიფიცირებულ მიზეზთა შემთხვევების კვლევა, ინფორმაციის შეგროვება და წარდგენა დკსჯდ-ცენტრისათვის;

ვ) გარემოს, შრომის, სასმელი წყლის , საკვების უსაფრთხოების დაცვის ხელშეწყობა;

ზ) "ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის" ეპიდზედამხედველობის კომპონენტის ფარგლებში, ფილტვის და ფილტვგარეშე ტუბერკულოზით დაავადებულთა კონტაქტების კვლევა, შერჩეული კონტაქტების რეფერალი ლატენტურ/აქტიურ ტუბერკულოზზე სპეციალური დიაგნოსტიკური კვლევისათვის, მეთვალყურეობიდან დაკარგულ პაციენტებთან და პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ პირებთან (ვინც იმყოფებოდა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობაზე) მუშაობა, დადგენილ ვადაზე ადრე ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობა, შეწყვეტილი პაციენტების მოძიება და მკურნალობაში ხელახალი ჩართვა. იმ პირებისათვის, რომლებიც უარს აცხადებენ ტუბერკულოზის სავალდებულო გამოკვლევაზე და შემდგომ მკურნალობაზე, კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების გატარება (არანებაყოფლობითი იზოლაციის ღონისძიების გატარება).

თ) ,,ც'' ჰეპატიტის მართვის'' სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის სკრინინგული კომპონენტის ხელშეწყობა მოსახლეობის ინფორმირებულობისა მობილიზაციის გზით;

ი) ცოფის გავრცელების სიტუაციური მართვის პროცესებზე მეთვალყურეობა, სათანადო სამსახურების დროული ინფორმირებულობა, ცოფზე საეჭვო ცხოველების დაკბენა-დადორბლვა-დაკაწვრის შემთხვევების ეპიდემიოლოგიური შესწავლა, ადამიანებში ჰიდროფობიის დიაგნოზის დასმის შემთხვევაში საგანგებო განხილვის ორგანიზება;

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის . განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვის და იმუნოპროფილაქტიკისათვის საჭირო ასაცრელი მასალის ლოჯისტიკა - ,,ცივი ჯაჭვის'' პრინციპის დაცვით ახორციელებს და ევალება:

ა) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების ექიმების რეგისტრაცია, მათი მონიტორინგი პროგრამის განხორციელებაზე;

ბ) იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ასაცრელი მასალის მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის;

გ) იმუნიზაციის შემდეგ განვითარებული არასასურველი მოვლენების შესწავლა და დკსჯდ-ცენტრში გადაცემა;

დ) ვაქცინების ხარჯვის და დანაკარგის კოეფიციენტის გამოთვლა;

ე) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,,დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამის" ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის მიმწოდებელი დაწესებულებებისათვის „დკსჯდ" ცენტრიდან მიღებული სწრაფი მარტივი ტესტების და სახარჯი მასალის გადაცემა, ,,ბ" ჰეპატიტის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინის გადაცემა სამშობიარო დაწესებულებებისათვის;

ვ) იმუნიზაციის ელექტრონულ მოდულში დარეგისტრირებული ბენეფიციარებისათვის ჩატარებული გეგმიური და არაგეგმიური აცრების თაობაზე ინფორმაციის შემოწმება და მათი დადარება ვაქცინებისა და სახარჯი მასალების ხარჯვის თაობაზე შესაბამის სამედიცინო დაწესებულებეში;

ზ) დამხამრე ზედამხედველობის განხორციელება გორის მუნიციპალიტეტში შემავალ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში (,,ცივი ჯაჭვის" განხორციელებაზე, ასაცრელი მასალის ხარჯვაზე, საინფორმაციო მასალის მიწოდებაზე და ა.შ)

3. პარაზიტოლოგიური დაავადებების თავიდან აცილების მიზნით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს ევალება;

ა) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის კვლევა ჰელმინთებით ინვაზირებაზე;

ბ) ლექცია-საუბრების ჩატარება სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა ორგანიზებულ კოლექტივებში პირად ჰიგიენაზე, სანიტარიული ღონისძიებების განხორციელებაზე;

გ) მალარიის ელიმინაციის შენარჩუნების მიზნით ყველა საეჭვო ავადმყოფის გამოკვლევა მალარიაზე, კერის ეპიდანალიზი;

დ) საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში 5-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვებში დეჰელმინთიზაციის პროცესის განხორციელება „დკსჯდ" ცენტრიდან მიღებული მედიკამენტის მეშვეობით;

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით ევალება:

ა) ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვისათვის გადამდებ და არაგადამდები დაავადებების პროფილაქტიკის, მავნე ჩვევათა კორექციის შესახებ ლექცია-საუბრების ჩატარება, რისთვისაც გამოყენებული იქნება ტელევიზია, მასმედია, ბეჭდური მედია და ა.შ;

ბ) ფიზიკური აქტივობის, როგორც ჯანმრთელობის ხელშემწყობი ფაქტორის მნიშვნელობის შესახებ მოსახლეობის ცოდნის დონის ამაღლება;

გ) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათთვის საჭირო რეკომენდაციების მიწოდება;

დ) საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში (ე.წ. ,,სილამაზის სალონები") ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებების მონიტორინგი, მათთვის აუცილებელი რეკომენდაციების მიწოდება სანიტარიული ნორმების დაცვის მიზნით;

ე) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43^1 და 43^2 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა.

ვ) სხვადასხვა სახის ღონისძიებების მოწყობა.

5. თავისი მიზნების განსახორციელებლად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კანონით დადგენილი წესით:

ა) ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობებს ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან.

ბ) ფლობს, იძენს და განკარგავს ქონებას.

გ) შეიძლება იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში.

6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს შეუძლია განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, რაც არ იკრძალება საქართველოს კანონმდებლობით, ატარებს დამხმარე ხასიათს, საქმიანობიდან მოგება უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების განხორციელებას.

მუხლი 3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მმართველი ორგანოები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს ხელმძღვანელობს დირექტორი რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს გორის მუნიციპალიტეტის მერი.

2. დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, საწესდებო მიზნების მისაღწევად;

ბ) ხელს აწერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ოფიციალურ, მათ შორის ფინანსურ დოკუმენტებს;

გ) წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს სხვა პირებთან ურთიერთობაში;

დ) ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების ოპერატიულ მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე გორის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.

ე) გორის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მართვისათვის საჭირო დებულებებს, საშტატო ნუსხას.

ვ) ამტკიცებს სააგენტოს შინაგანაწესს;

ზ) სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მომსახურე პერსონალს.

თ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და კანონით აუკრძალავ სხვა ფუნქციებს.

3. დირექტორი თავისი უფლებამოსილების შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს.

4. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, გორის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, დირექტორის დავალებით, მის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ერთ-ერთი თანამშრომელი.

5. დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების არაჯეროვანი და არასრულფასოვანი შესრულების, უფლებამოსილების გადამეტების ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია გორის მუნიციპალიტეტის მერს. ასეთ შემთხვევაში ერთი თვის ვადაში ინიშნება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ახალი დირექტორი.

მუხლი 4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქონება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს შენობები, ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი აქციები და მოძრავი ქონება, რაც ესაჭიროება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს თავისი საქმიანობის განსახორციელებლად;

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქონება იქმნება სხვადასხვა შენატანების, პირთა შემოწირულობებისაგან, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებიდან.

მუხლი 5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შეწყვეტა

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია და ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

„მუხლი 6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი

1. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება დამფუძნებლის მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის დამფუძნებლის მიერ წესდების დამტკიცების შესახებ ბრძანების ამოქმედების და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის დღიდან.

2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმები.

მუხლი 8. დამფუძნებელი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელია გორის მუნიციპალიტეტი ს/კ 218086087

გორის მუნიციპალიტეტის მერის

KA990134999341119

ბრძანება № 3711-ს

05 / ივნისი / 2019 წ.

"არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს " წესდების დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 დეკემბრის N397-ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, 106^1 -ე მუხლის მე-6 პუნქტისა და საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის საფუძველზე ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება "არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს " წესდების დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 დეკემბრის N397-ს ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი N1 შეიცვალოს ახალი დანართი N1_ით.
2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3.ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30)

გორის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

კონსტანტინე თავზარაშვილი

ასლი დედანთან სწორია
"06" 06 2019 წ.

დანართი N1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს“ წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო“ (შემდგომში სააგენტო) მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, გორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სამართლებრივი აქტებისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

2.სააგენტოს ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

3.სააგენტო თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ასევე მის საზღვრებს გარეთ.

4.სააგენტოს გააჩნია იურიდიული პირისთვის საჭირო ყველა ატრიბუტი, ბეჭედი შტამპი, ანგარიშსწორებისა და სხვა სახის ანგარიშები სათანადო დაწესებულებებში.

5..სააგენტო შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

6.სააგენტოს სრული სახელწოდებაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო“.

7.სააგენტოს ელექტრონული ფოსტის მისამართია - services@gori.gov.ge

8. სააგენტოს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. გორი, სტალინის გამზ. N16.

მუხლი 2. სააგენტოს მიზნები და ამოცანები

1.სააგენტოს მიზნები:

ა) გორის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა.

ბ) ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესება.

2.სააგენტოს ამოცანები :

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება, მოსახლეობისგან და ორგანიზაციებისგან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და უტილიზაცია კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ)გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების , გაწმენდითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება;

გ) მუნიციპალური შადრევნების, სკვერების, მოსაცდელების და სპორტული მოედნების მოვლა - პატრონობა.

დ)ზამთრის სეზონზე ქუჩების მოვლა-შენახვის განხორციელება:

ე) გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების მოვლა-პატრონობა;

ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის მუნიციპალური პროგრამების, პროექტების მომზადება და მათ განსახორციელებლად ტექნიკური სამუშაოების განხორციელება.

ზ) მუნიციპალიტეტის იერსახეზე ზრუნვა, საჭირო ღონისძიებების გატარება.

თ) დამფუძნებლის დავალებით, მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი და მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების საცხოვრებელი სახლების გამაგრება/რეაბილიტაცია;

ი) საჭიროების შემთხვევაში გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია;

კ)გარემოს და ბუნებათსარგებლობის , მრავალფეროვნების , გადაშენების საფრთხის წინაშე და იშვიათი სახეობების შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით სარგავი მასალის (ნერგის) გამოყვანის უზრუნველყოფა.

ლ) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების დაზიანებული ტერიტორიების სპეციალური გამოკვლევა და აღდგენა, ახალი ნერგების განთავსება და არსებული ნერგების მორწყვის გადაბელვის, გასხვლის და სხვა გამწვანებით-მოვლითი სამუშაოების განხორციელება.

მ) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა - პატრონობა, სარიტუალო მომსახურება , სასაფლაოების დახურვა და ახალი სასაფლაოების გახსნა კანონმდებლობის შესაბამისად.

ნ)ქუჩების განათება, შენობის დეკორაციების მინათება, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (შეკეთება, გამოცვლა, მონტაჟი) და მასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავება;

ო) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების ორგანიზების განხორციელება .

პ)საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად , დამფუძნებლის წერილობითი დავალების საფუძველზე განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

3.თავისი მიზნების განსახორციელებლად სააგენტო კანონით დადგენილი წესით:

ა) ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობებს ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან.

ბ) ფლობს, იძენს და განკარგავს ქონებას.

გ) შეიძლება იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, კერძო არბიტრაჟში.

4.სააგენტოს შეუძლია განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, რაც არ იკრძალება საქართველოს კანონმდებლობით, ატარებს დამხმარე ხასიათს, საქმიანობიდან მოგება უნდა მოხმარდეს სააგენტოს მიზნების განხორციელებას.

მუხლი 3.სააგენტოს სტრუქტურა

1.სააგენტო შედგება შემდეგი განყოფილებებისგან:

ა) გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს ადმინისტრაციული განყოფილება, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო აღწერილობით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებასა და სააგენტოს შემადგენლობაში არსებული განყოფილებების კოორდინირებულ მუშაობას.

ბ) გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს გამწვანებისა და სანერგე მეურნეობის განყოფილება .

გ) გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს სასაფლაოების მოწყობისა და მართვის განყოფილება .

დ) გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს დასვენების პარკი „ახალბაღი“ .

ე)გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს პარკირების განყოფილება.

ვ)გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს გარე განათების განყოფილება.

ზ) გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს ტრანსპორტის განყოფილება.

თ) გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს სამშენებლო სარეაბილიტაციო განყოფილება .

ი) გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს დასუფთავების განყოფილება.

2. სააგენტოს განყოფილებების საქმიანობას დირექტორთან კოორდინირებით წარმართავენ განყოფილების უფროსები. რომლებსაც გორის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სააგენტოს ხელმძღვანელი.

3. სააგენტოს განყოფილებების ფუნქციები განისაზღვრება სამუშაო აღწერილობებით, რომელსაც შესაბამისი განყოფილების უფროსთან კოორდინირებით ამტკიცებს სააგენტოს დირექტორი.

მუხლი 4 სააგენტოს მართვა

1.სააგენტოს ხელმძღვანელობს დირექტორი , რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გორის მუნიციპალიტეტის მერი.
2.სააგენტოს დირექტორს ყავს სამი მოადგილე რომლებსაც გორის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სააგენტოს დირექტორი.
3. სააგენტოს დირექტორი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სააგენტოს საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად.
ბ) ხელს აწერს სააგენტოს ოფიციალურ, მათ შორის ფინანსურ დოკუმენტებს.
გ) წარმოადგენს სააგენტოს სხვა პირებთან ურთიერთობაში.
დ) ახორციელებს სააგენტოს ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების ოპერატიულ მართვას, მართლზომიერად გამოყენებასა და მოვლა-პატრონობას.
ე) გორის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს სააგენტოს საშტატო განრიგს .
ვ) ამტკიცებს სააგენტოს შინაგანაწესს, განსაზღვრავს სააგენტოს განყოფილებების ფუნქციებს და შეიმუშავებს მათ სამუშაო აღწერილობებსა და თანამდებობრივ ინსტრუქციებს.
ზ) მერთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორის მოადგილეებსა და განყოფილების უფროსებს. თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სააგენტოს თანამშრომლებს;
თ) სააგენტოს განყოფილების უფროსებთან შეთანხმებით ადგენს სხვადასხვა სახის ღონისძიებათა კალენდარს და უზრუნველყოფს მათ გამართულად ჩატარებას.
ი) მოადგილეებისთვის განსაზღვრავს საკურატორო სფეროებს.
კ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებსა და კანონით აუკრძალავ სხვა ფუნქციებს.
ლ) პასუხისმგებელია გორის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.
მ) მუნიციპალიტეტის მერს წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ.
3. სააგენტოს დირექტორი თავისი უფლებამოსილებების შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს.
4. სააგენტოს დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, გორის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, სააგენტოს დირექტორის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მოადგილე .
5. დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების არაჯეროვანი და არასრულფასოვანი შესრულების, უფლებამოსილების გადამეტების ან სააგენტოს საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისთვის შეუძლია გორის მუნიციპალიტეტის მერს. ასეთ შემთხვევაში ერთი თვის ვადაში ინიშნება სააგენტოს ახალი დირექტორი.
6. სააგენტოში დასაქმებულ თანამშრომელთა უფლებამოსილებები განისაზღვრება წინამდებარე წესდებით, სააგენტოს სამუშაო აღწერილობებით, თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და შრომის შინაგანაწესით.

მუხლი 5. სააგენტოს ქონება

1. სააგენტოს შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს შენობები, ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი აქციები და მოძრავი ქონება, რაც ესაჭიროება თავისი საქმიანობის განსახორციელებლად.
2.სააგენტოს ქონება იქმნება სხვადასხვა შენატანების, პირთა შემოწირულობებისგან, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებიდან.

მუხლი 6. სააგენტოს საქმიანობის შეწყვეტა

1. სააგენტოს ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია და ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. სააგენტოს წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი

1. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება დამფუძნებლის მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის დამფუძნებლის მიერ წესდების დამტკიცების შესახებ ბრძანების ამოქმედების და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის დღიდან.
2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმები.

მუხლი 9. დამფუძნებელი

1. სააგენტოს დამფუძნებელია გორის მუნიციპალიტეტი ს/კ 218086087